სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი

11 აპრილი 2024

N 71

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსის „კანის 77-ე საერთაშორისო კინოფესტივალის კინობაზრობაზე ფილმის ჩვენების ხელშეწყობა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმებისთვის“ ფარგლებში ფილმის/ფილმების შერჩევის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 07 აგვისტოს №3/256 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ს^” ქვეპუნქტის და მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის ,,თ” ქვეპუნქტის, „კონკურსის „კანის 77-ე საერთაშორისო კინოფესტივალის კინობაზრობაზე ფილმის ჩვენების ხელშეწყობა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმებისთვის“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 28 მარტის №45 ბრძანებისა და ,,საერთაშორისო და სხვა ქვეყნების ეროვნულ კინოფესტივალებზე, კონკურსებში და ჯილდოებზე საქართველოს სახელით წარსადგენი ფილმის/ფილმების შესარჩევი კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 15 სექტემბრის №195 ბრძანებით დამტკიცებული წესის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსის „კანის 77-ე საერთაშორისო კინოფესტივალის კინობაზრობაზე ფილმის ჩვენების ხელშეწყობა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმებისთვის“ ფარგლებში ფილმის/ფილმების შერჩევის მიზნით, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **გიორგი ბარაბაძე** - რეჟისორი, პროდიუსერი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **გიორგი კაკაბაძე** - სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის დირექტორი, დოკუმენტური კინოს რეჟისორი - კომისიის წევრი;

გ) **ნიკოლოზ აბრამაშვილი** - ა(ა)იპ საქართველოს კინოაკადემიის პრეზიდენტი, პროდიუსერი - კომისიის წევრი.

2. კომისიის მდივნად განისაზღვროს სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ფილმწარმოების დეპარტამენტის ფილმწარმოების სპეციალისტი - **მაკა ლომია.**

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი